საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი

ილია ჭავჭავაძის პრ. №1



უბნის ხედი მთაწმინდიდან, 2019წ.



საპროექტო ადგილის ხედი გმირთა მოედნის სერპანტინიდან, 2021წ.

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე
– გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
აგვისტო
2021

1. ადგილმდებარეობა

საპროექტო ადგილი მდებარეობს ვაკეში ,თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების რეგულირების ზონის საზღვართან, **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკადასტრო ფარგლებში, ვარაზის ხევის მარცხენა ფერდობზე, მდ. ვერეს მარჯვენა ნაპირის ახალი სამანქანო ტრასის ზემოთ.** (ვაკის რ-ნი). ტერიტორია მოიცავს ფერდობის მოსწორებულ ადგილს სადაც **საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია უნივერსიტეტის მედიათეკის აშენება.**



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

ობიექტის საკადასტროში ეროვნული მნიშვნელობის ორი არქიტექტურული ძეგლია – ილია ჭავჭავაძის ქ. №№1 და 3

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლები – ვ. ანჯაფარიძის ქ.№№10,12,16;
საცხოვრებელი სახლები – შიო მღვიმელის ქ.№№7,8.
საცხოვრებელი სახლები – ს. ანჯაფარიძის ქ.№17;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო, 2020წ



აეროფოტო, 2020წ

საკადასტრო ნაკვეთის ნომერია - 01.14.14.010.030

2. ვერეს უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

XXს-ის დასაწყისამდე **ვაკე** დაუსახლებელი იყო. ქალაქის ფარგლებში შევიდა 1907 წელს. განაშენიანება ჩამოყალიბდა **წყნეთის გზის** გასწვრივ, რომელსაც თავდაპირველად **უნივერსიტეტის ქუჩა** ერქვა, ქუჩის დასაწყისში აგებული ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის, შემდგომში უნივერსიტეტის გამო (ამჟამად **ილია ჭავჭავაძის პროსპექტი**).

ვაკე ვარაზის ხევით გამოყოფილი იყო **სოფ. ვარდისუბნისა** და **სოფ. ვერესგან,** რომელთა ურბანიზება უფრო ადრე, XIXს-ის II ნახევარში მოხდა და მთელ ამ უბანს ვერე ეწოდა. ვერეს ქვედა სანახებს მიუყვებოდა თბილისიდან მდ. ვერესენ წამოსული **დიღმის გზა** (მ. კოსტავას დღევანდ. ქუჩა). ხოლო სოფლის ზემოთ მიემართებოდა **გზა წყნეთისკენ** (მელიქიშვილის დღევანდ. ქუჩა).



ვერეს უბნის განაშენიანება დაიწყო XIXს-ის II ნახევარში და ფაქტობრივად დასრულდა XXს-ის 20-იანი წლებისთვის. XIXს-ის დასასრულისთვის დაისახა ამ უბნის მთავარი ღერძები – ყოფ. დიღმის გზაზე **ოლღას (კოსტავას)** და ყოფ. წყნეთის გზაზე, **წყნეთის (მელიქიშვილის) ქუჩები.** ამ ვექტორების ზედა და ქვედა ფერდობებზე თანდათან ისახებოდა ქუჩების ქსელი. XIXს-ის ბოლოს ვარაზის ხევის მარცხენა ნაპირი დაუსახლებელია.

ВЕРЕ ДА ВАРДИСУБАНИ 1898წ.



საპროექტო ტერიტორია


ВЕРИНСКІЙ БАНЬ
ДИДУБЕЙСКАЯ ДАЧА
I уч.
ЗАВОДЪ
ЧУГУННЫЙ
ЗАВОДЪ
ЦЕМЕНТНЫЙ
ЗАВОДЪ
ЦЕМЕНТНЫЙ



ვერეს და ვაკის უბნის ფრაგმენტი, XX ს-ის დასაწყისი.
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©



ვარაზისხევი და მდ. ვერე 1924წ

XXს-ის დასაწყისში, უკვე ურბანიზებულია სოფ. ვერე და ვარდისუბანი. ვაკეში კი, შენება 1920-იანი წლებიდან მატულობა. იგი მოდური გახდა საბჭოთა საქართველოს პარტიული და ნომენკლატურული მუშაკებისათვის. აქ ყველაზე მეტია ე.წ. „სტალინური არქიტექტურის“ კარგი სამშენებლო ხარისხის შენობები. მხატვრულ-არქიტექტურულად დასრულებული სახე უბანმა XXს-ის შუა პერიოდში მიიღო. ამავე დროს აშენდა უნივერსიტეტის II კორპუსი. 1935წ. პრეოქტი, 1945-50წწ (არქიტ. მიხეილ შავიშვილი). ვარაზისხევი მხოლოდ 1950-იან წლებში ამოავსეს და გაიყვანეს გმირთა მოედანთან დამაკავშირებელი მაგისტრალი.



გმირთა მოედნის მშენებლობა, 1930-იანი წწ.

3. საპროექტო ტერიტორია



ტოპოგეგმა, 1970-იანი წწ.



უბნის სამისამართო გეგმა, 2000-ნი წწ



საკადასტრო გეგმა



საპროექტო ადგილი რეგულირების ზონით

სახელმწიფო უნივერსიტეტის ორთავე კორპუსი ერთიან საკადასტროშია მოქცეული №01.14.14.010.030. საპროექტო ტერიტორია ამ საკადასტროს ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ვერესკენ მიმართულ ჩრდილოეთ ფერდობზეა განთავსებული. ამასთან მისი მარჯვენა ნაწილი მოქცეულია თბილისის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონის ფარგლებში. ეს არის ლანდშაფტური გარემო რთული რელიეფით. ადგილი სადაც უნდა დაპროექტდეს მედიათეკის შენობა მოვაკებულია და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია მცენარეებით დაფარული დამრეცი ფერდობით. დასავლეთით მიმართული მოვაკება დაფერდებულია და აქ მოწყობილია, უნივერსიტეტის ზედა ტერასადან მოწყობილი რამდენიმე ბაქნიანი კიბის ქვედა მონაკვეთი, რითიც ჩავდივართ მდ. ვერეს მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გაყვანილ სამანქანო ტრასაზე – ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე.

საპროექტო ადგილი მოჩანს გმირთა მოედნიდან და ზოოპარკიდან, თუმცა ამ მიმართულებით მას ეფარება მცენარეულობა და მოზრდილი ხეები. უკეთ მოსჩანს ეს ტერიტორია ჩიქოვანის ქუჩის განაშენიანებიდან. ამიტომ, ამ ლანდშაპტური გარემოს სახეცვლილება ფრთხილად არის დასაპროექტებელი.



საპროექტო ტერიტორიის ხედი ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან, 2021წ.



საპროექტო ტერიტორიის ხედი ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან, 2021წ.



საპროექტო ტერიტორიის ხედი ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან, 2021წ.

- *საპროექტო ადგილის სტრუქტურა და ხასიათი*



საპროექტო ადგილი, ხედი ზედა ბაქნიდან დასავლეთისკენ, 2021წ.



საპროექტო ადგილი, ხედი ზედა ბაქნიდან დასავლეთისკენ, 2021წ



საპროექტო ადგილი, ხედი ქვედა ბაქნიდან აღმოსავლეთისკენ, 2021წ



საპროექტო ადგილი, ხედი ქვედა ბაქნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, 2021წ



აგურის წყობის საყრდენი კედელი სამხრეთ ფერდობზე, 2021წ



ბაქნებიანი კიბე აღმოსავლეთისკენ, 2021წ

საპროექტო ტერიტორიის ზედა სამხრეთ შემომფარგვლელ ფერდობზე აგურის წყობის მოზრდილი კედელია, რომელიც აქ XXს-ის შუა წლებში მდგომი სახლის საყრდენი კედელი უნდა იყოს. ეს სახლი გამოსახულია 1930-იანი წლების საარქივო ფოტოზე. იქვე უნივერსიტეტის ზედა ტერასადან ეშვება კიბის საფეხურები ბაქნებით, რომელიც გრძელდება საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე აღმოსავლეთ მხარესაც.

4. არქიტექტურული ძეგლები ირგვლივ





არქიტექტურული ძეგლების საალრიცხვო ბარათები, უნივერსიტეტის I და II კორპუსი

საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების
დანართი №1

საპროექტო ადგილის ზემოთ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია უნივერსიტეტის I და II კორპუსები.

ევროპული განათლების მქონე პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის მიერ დაპროექტებული ქართული სათავადაზნაურო სკოლა, შემდგომში პირველი ქართული უნივერსიტეტის I კორპუსი რენესანსულ-ბაროკოული არქიტექტურული ესთეტიკით ნასაზრდოები შენობაა. მისი სტრუქტურა და გეგმარება ჩვეული იყო იმ დროს აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთის საგანმანათლებლო ნაგებობებისა. 1906 წელს აგებული შენობა პირველი იყო ჯერ კიდევ ამ გაუნაშენებელი უბნისთვის, რომელმაც საფუძველი დაუდო მის განაშენიანებას და დღესაც დომინანტად წარმოჩინდება.

II კორპუსიც XXს-ის შუა პერიოდის საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობაა და პირველი უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილია; ნაგებობა ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილს. თავისი სტრუქტურით ეს ნაგებობა საინტერესოა, როგორც XX საუკუნის შუა პერიოდის თბილისის საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობა განსაზღვრული სტილის (სტალინისტური ფასადის) და სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ეტაპის ამსახველი რეალობა. სახლი თავისი მოცულობითა და დეკორით შემკული ფასადებით, მიკროუბნის დომინანტს წარმოადგენს. შენობა მკაფიო აქცენტს ქმნის და განსაზღვრავს განაშენიანების ხასიათს.

ახალი კორპუსის არქიტექტურული სახე XXს-ის დასაწყისში აგებული I კორპუსისგან განსხვავებულია, თუმცა სტილისტურად მსგავსია და ორთავე კორპუსი ერთ არქიტექტურულ ანსამბლად წარმოჩინდება. მდიდრულად მორთული ფასადი პროსპექტის მხარეს ოვალურად არის შეღუნული და გათვალისწინებულია ქუჩის აბრისი. დანარჩენი ფასადები მარტივად არის გადაწყვეტილი სარკმლების თარაზული რიგებით.







არქიტექტურული ძეგლების საანრიცხვო ბარათები

საპროექტო ადგილთან ახლოს მდგომი არქიტექტურული ძეგლებია საცხოვრებელი სახლები ვარაზის ხევის მოპირდაპირე მარჯვენა მაღალ ტერასას ქუჩებზე (ვერიკო ანჯაფარიძის, შიო მღვიმელის და სოფიკო ჭიაურელის), სადაც ისტორიულ სოფ. ვერეზე XIXს-ის ბოლოს ვერეს ურბანიზებული უბანი ჩამოყალიბდა.

განსაკუთრებით საინტერესოა უნივერსიტეტის I კორპუსის დამპროექტებელი ერთ-ერთი პირველი თანამედროვე ქართველი არქიტექტორის – სიმონ კლდიაშვილის საცხოვრებელი სახლი №16, რომელშიც XIXს-ის დასასრულს ოსტატურად არის რემინისცენცირებული იმავე საუკუნის დასაწყისის კლასიცისტური სტილი. ეს სახლიც მისი დაპროექტებულია.

დანარჩენი სახლები ვ. ანჯაფარიძის ქუჩაზე №№10,12 არის XIX-XXს-ის დასაწყისის ნაგებობები კლასიცისტური და ფსევდორენესანსული სტილის საფასადო სიბრტყის სახით და თბილისურისათვის დამახასიათებელი აივნებიანი სისტემებით. ყველა ეს ნაგებობა მორგებულია. რელიეფზე და უბნის არქიტექტურული სახის განმსაზღვრელ სტრუქტურებს წარმოადგენენ.

არქიტექტურული ძეგლებია შიო მღვიმელის ქუჩაზეც. სამსართულიანი სახლი №7 შიო მღვიმელის მემორიალური ნაგებობაა თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი საფასადო სტრუქტურით. მოპირდაპირე მხარეს კი, ქუჩის ბოლოს ვარაზის ხევისკენ დგას სახლი №8. ეს აგურის შეულესავი წყობის ნაგებობაა ოსტატურად მორგებული რელიეფზე. მას აქვს შიდა თბილისური ეზო მაღალმხატვრული ხის აივნებით. ეს ნაგებობა ე.წ. ფეიქართა სახლია და ამიტომაც ამ ადგილს თავის დროზე ფეიქრის გორა ერქვა რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ფიქრის გორით.

საინტერესოა საცხოვრებელი სახლი სოფიკო ჭიაურელის (ყოფ. ფასანაურის) ქუჩაზე №17, კლასიცისტურ არქიტექტურულ ელემენტებიანი ფასადებით და შიდა ეზოთი. ეზოში შესასვლელი გვირაბის ვიწრო კარი ხისაა, მის ზედა ნაწილში კი, ლითონის ჭვირული ცხაურია მოდერნის ელემენტებით. ეს ნაგებობა მემორიალური მნიშვნელობისაც არის და დაკავშირებულია ცნობილ პიროვნებასთან. ამ სახლში ცხოვრობდა (იმალებოდა) იოსებ სტალინი 1900-იან წლებში.



არქიტექტურული ძეგლის საანრიცხვო ბარათი

დასკვნა და რეკომენდაციები:

წარმოგიდგენთ ზოგადი სახის დასკვნებსა და რეკომენდაციებს რაც საერთოა თბილისის ისტორიულ ნაწილში წარმოებული ახალმშენებლობების დროს და ასევე კონკრეტულ რეკომენდაციებს გამომდინარე საპროექტო მოცემულობისა და საპროექტო ადგილის თავისებურებიდან.

საპროექტო ადგილი მოქცეულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I და II კორპუსების საკადასტროში. ამასთან ამ ადგილის მარჯვენა აღმოსავლეთი მონაკვეთი თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების რეგულირების ზონაშია.

ამიტომ, ამ ადგილზე ახალმშენებლობისა და სხვა ცვლილებების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ამ კანონის მიხედვით: „განაშენიანების რეგულირების ზონის დადგენის მიზანია ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი გაშენების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფა“, რაც გულისხმობს მის ფარგლებში დაგეგმარების სტრუქტურის და არქიტექტურულ-სივრცობრივი გარემოს შენარჩუნებას.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტში თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი არსებული მდგომარეობა (ნახაზები, ფოტოები) და ვითარება ცვლილების შემდგომ. სასურველია, რომ ფოტომონტაჟები გაკეთებული იყოს ერთი და იგივე რაკურსიდან რათა თვალსაჩინოდ იყოს აღქმული ცვლილება.

სასურველია ასევე ფოტომონტაჟები შორი ხედებიდან რათა ნათლად იყოს წარმოჩენილი ახალმშენებლობის შესაძლო გავლენა არქიტექტურული ძეგლების და ლანდშაფტური გარემოს მიმართ.

კონკრეტული რეკომენდაციების მიმართებით კი, უნდა აღინიშნოს კერძოდ ამ ადგილის ლანდშაფტური გარემო. ამიტომ, პროექტირებისას სასურველია ნაკლებად შევეხოთ ბუნებრივ რელიეფს და მისი სტრუქტურა შეიცვალოს მხოლოდ უკიდურესი საჭიროებისას.

უნივერსიტეტის შენობები საკმაოდ შორსაა. საპროექტო ადგილი ფერდობზეა და უნივერსიტეტის ზედა ბაქნიდან „ჩავარდნილია“ მდ. ვერეს ხეობისკენ. ამიტომ, ახალმშენებლობა პრაქტიკულად ვერ იმოქმედებს ამ არქიტექტურული ძეგლების აღქმის საწინააღმდეგოდ. თუმცა, მედიათეკის შენობა მაინც სასურველია არ დაპროექტდეს მოზრდილი გაბარიტებით, რათა არ წარმოჩინდეს აქტიურ ლაქად ლანდშაფტურ გარემოში.

საპროექტო ადგილის ირგვლივ დამრეცი და ჩახრამული რელიეფი შეიძლება გამაგრდეს საყრდენი კედლით ოღონდ ეს კედელი მეტწილად მორგებული უნდა იყოს რელიეფს, ჩაეწეროს გამწვანებულ გარემოში და არ ჰქონდეს უხეში სიბრტყეები. შესაძლებელია იქვე სამხრეთ დაფერდებაზე არსებული აგურის კედლის გამოყენება. ეს კედელი აქ XXს-ის I ნახევარში მდგომი ნაგებობის საყრდენი კედელი უნდა იყოს, როგორც ეს ჩანს საარქივო ფოტოზე.

აქ უკვე ფერდობზე არსებული ბაქნებიანი კიბის რეაბილიტაციის დროს სასურველია ასევე მეტწილად შენარჩუნდეს მიწის გამწვანებული გრუნტი და ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსასვენებელი ადგილები, ჩამოსაჯდომი მერხები და სხვა, ჩაეწეროს განახლებულ ლანდშაფტურ გარემოში.

აქ ნაკლებადაა მოსალოდნელი არქეოლოგიური კულტურული ფენის არსებობა, თუმცა, მიწის სამუშაოების დროს სასურველია არქეოლოგის ჩართვა არტეფაქტების გამოვლენის შემთხვევაში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ჩანს, როგორც გმირთა მოედნიდან, ასევე ვერეს ხეობიდან და ჩიქოვანის ქუჩის განაშენიანებიდან ამიტომ, სასურველია, ახალი მოცულობის და სტრუქტურის დაპროექტებისას ანგარიში გაეწიოს არსებულ სივრცით ორგანიზაციას – განსაკუთრებით მის სტრუქტურას, რათა იგი არ წარმოჩინდეს კიდევ ერთ შეუსაბამო მოცულობად მდ. ვერეს მარჯვენა დაფერდებული სანაპიროს საერთო აბრისში და არ დაარღვიოს ისტორიულად შემორჩენილი ლანდშაფტური გარემოს მასშტაბი, სტრუქტურა და ხასიათი.

რაც შეეხება ახალი მოცულობის მხატვრულ-არქიტექტურულ სახესა და სტილს, არ არის აუცილებელი, რომ იგი მაინცდამაინც XIX-XXსს-ის დასაწყისის ნაგებობების მსგავსი იყოს, რათა ახალი შენობა არ დაემსგავსოს ბუტაფორიას.

პირიქით, სასურველია იგი იყოს არქიტექტურული განვითარების ევოლუციური პროცესის შესატყვისი. ამ შემთხვევაში შესაძლებელი ჩანს, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც.

ასევე, აქ ახალი მოცულობების დაპროექტებისას აუცილებლად იქნეს გათვალისწინებული ნაგებობათა მხატვრულ-არქიტექტურული სახისა და მშენებლობის მაღალი ხარისხი;

ამგვარი მეთოდოლოგიურ მიდგომები პასუხობს საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებსაც, კერძოდ, ვაშინგტონის ქარტიას (1987წ.).

ამავე საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ურბანული მემკვიდრეობის ნიმუშებისა და ისტორიულ გარემოში თანამედროვე დიზაინის ჩართვის მიმართ გამოხატული პოზიცია (ავტორები: ბ. ფილდენი და იუ. იუკილეტო, **ICCROM, UNESCO, ICOMOS, 1993),** რის მიხედვითაც ახალ ნაგებობას უნდა გააჩნდეს:

- რიტმი, რომელიც ჰარმონიულია გარემომცველი განაშენიანების, ურბანული რიტმისა და მორფოლოგიური სახისა;
- მასა, რომელიც შეთანადებულია კონტექსტს არც ისეთი დიდი, რომ დაარღვიოს ისტორიული უბნის ინტიმური, ადამიანური მასშტაბი და ისეთი, რომ გამოირიცხოს ხელოვნური გაერთიანება მიწის რამოდენიმე ნაკვეთისა ერთი დიდი ნაგებობის განსათავსებლად;

იგივე მოთხოვნებია დაყენებული ისტორიულ ზონაში ახალმშენებლობებთან დაკავშირებულ **UNESCO**-ს რეკომენდაციაში ისტორიული ნაგებობების ჯგუფის თანამედროვე როლის და მათი დაცვის შესახებ (ნაირობი, 1976წ.).

ამიტომ, ცვლილებები კვლავ შესაძლებელია ოღონდ მნიშვნელოვანია, თუ რა მხატვრული ღირებულების მქონე ახალი ნაგებობები აიგება. და აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მშენებლობის ხარისხი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ხელოვნებათმცოდნე — გია ჭანიშვილი

25. 08. 2021